# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო

# პროგრამის შესახებ

## მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო
## პროგრამა: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების
## მასწავლებელი;მუსიკის მასწავლებელი

## ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო
## უნივერსიტეტი

22.05.2025

21.07.2025

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ "ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი" |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 245628496 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | რევაზ ტაბატაძე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო პოპიაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | სანდრო ტაბატაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თეონა დადუნაშვილი, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, საქართველო |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის" და „დაწესებულების სახის" მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად) | მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი;მუსიკის მასწავლებელი |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად) | Teacher training educational program: Fine and Applied Arts Teacher; Music Teacher |
| უმაღლესი განათლების საფეხური | - |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | - |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3] | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;<br>მუსიკა. |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 60 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | ახალი |

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

| | |
|---|---|
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | |

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

2024 წელს მუსიკისა და განათლების, ჰუმანტიარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტების ბაზაზე შემუშავდა დამოუკიდებელი 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც გაერთიანდა ორივე სახელოვნებო მიმართულება - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და მუსიკა. პროგრამის სტრუქტურა ჩამოყალიბდა პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მოდულის, საგნობრივი მეთოდიკების მოდულის სავალდებულო და არჩევითი დისციპლინების სახით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტს წინ უსწრებდა ერსპერტთა ჯგუფის წევრების შეხვედრა, რომელიც შედგა 13 მაისს. შეხვედრაზე ჯგუფის წევრები გაეცნენ ვიზიტის დღის წესრიგს და გაინაწილეს ფუნქციები. თვითშეფასების ანგარიშისა და წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი ეწვია სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტს.

ვიზიტის ფარგლებში ჯგუფის წევრები შეხვდნენ და გაესაუბრნენ პროგრამების თვითშეფასების ჯგუფს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამაში ჩართულ აკადემიურსა და მოწვეულ პერსონალს, დამსაქმებლებს, სტუდენტებსა და კურსდრამთავრებულებს. შეხვედრებმა ჩაიარა კოლეგიალურ ატმოსფეროში.

უნივერსიტეტის წარმომადგენლები კოოპერაციულად იყვნენ განწყობილნი და ცდილობდნენ მოეწოდებინათ ყველა დამატებითი დოკუმენტი და დროულად მოეგვარებინათ აკრედიტაციის პროცესში წარმოქმნილი ყველა ტექნიკური პრობლემა.

ვიზიტის ფარგლებში აკრედიტაციის ერსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს პროგრამის განსახორციელებლად გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

შეამოწმეს საბიბლიოთეკო რესურსების შესაბამისობა სილაბუსში მითითებულ სავალდებულო ლიტერატურასთან. დამატებითი შეხვედრის დანიშვნის საჭიროება არ შექმნილა.

ვიზიტის დასასრულ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

**სტანდარტი 1 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

**სტანდარტი 2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

**სტანდარტი 3 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

**სტანდარტი 4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

**სტანდარტი 5 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

- **რეკომენდაციები**

1.2.რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის დეკლარირებული სწავლის შედეგები და ფორმულირდეს იმგვარად, რომ ასახავდეს პროგრამის სპეციფიკასა და თავისებურებებს, იყოს გაზომვადი და შეფასებადი.

1.2.რეკომენდებულია უზრუნველყოფილ იყოს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში და სწავლის შედეგების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის.

1.3. რეკომენდებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში მკაფიოდ იყოს ასახული სამიზნე ნიშნულები;

1.3.რეკომენდებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ცალკე დოკუმენტად იყოს წარმოდგენილი, რომელშიც უნდა გამოჩნდეს, როგორ ხდება მათი შეფასება, მათ შორის დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით;

1.4.რეკომენდებულია გადაიხედოს არჩევითი საგნების ბლოკი, შეფასდეს მინიჭებული კრედიტების რაოდენობა და განხორციელდეს მათი მოდიფიცირება;

1.4.რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმში დაემატოს/გაძლიერდეს აკადემიური კეთილსინდისირების, ხელოვნული ინტელექტისა და გაკვეთილის მართვის საკითხები;

1.5.რეკომენდებულია გადაიხედოს ფსიქოლოგიური-პედაგოგიური მოდულის საგნების სპეციფიკა, შეიცვალოს მათთვის მინიჭებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, რომ უფრო რელევანტურად ასახავდეს, ერთი მხრივ, საგანთა შინაარს, მეორე მხრივ, შეესაბამებოდეს მათში ინტეგრირებულ შეფასების მეთოდებს.

2.2. რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმი გაძლიერდეს მასწავლებლის პრაქტიკის კვლევის საკითხით, რათა გარანტირებული იყოს კურსდამთავრებულთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარება;

3.1.რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირებულობა ლექტორებისა და საგნების შეფასების პროცესში მათი მონაწილეობის მნიშვნელობის, ფორმატისა და შედეგების გამოყენების შესახებ.

4.3. რეკომენდებულია უსდ-მ უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის ზრდას, მათ შორის მიზნობრივი სამეცნიერო პროექტების დაფინანსებას, მნიშვნელოვან ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელების შექმნის ხელშეწყობას.

5.1 რეკომენდებულია თვითშეფასების ჯგუფის ყველა წევრი თანაბრად კარგად იცნობდეს თვითშეფასების ანგარიშში დასახელებულ გასაუმჯობესებელ მხარეებსა და მათი გამოსწორების გეგმას.

5.3.რეკომენდებულია უსდ-მ რეგულარულად და მტკიცებულებებზე დამყარებული გზით, აწარმოოს საგანმანათლებლო პროგრამის შედარება ანალოგიურ პროგრამებთან.

5.3. რეკომენდებულია უსდ-მ უზრუნველყოს, რომ ყველა სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტები ფორმალურად აფასებენ მას და რელევანტური ინფორმაცია საბოლოოდ სასწავლო კურსის განმახორციელებელ პირებისთვის ხდება ცნობილი.

5.3 რეკომენდებულია უსდ-მ საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანობის შეფასების გზით, შეიმუშავოს მისი მონიტორინგის ნათელი მკაფიო და კომპლექსური მაჩვენებლები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

2.2.მიზანშეწონილია გაგრძელდეს და გაძლიერდეს პრაქტიკული სწავლების კომპონენტების განვითარება და გაიზარდოს პრაქტიკის ბაზების მრავალფეროვნება, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული კომპეტენციების რეალურ გარემოში გამომუშავებას და შრომის ბაზრის მზარდ მოთხოვნებზე უკეთ ადაპტაციას.

2.3. სასურველია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებში გაძლიერდეს როლური თამაშების, სიმულაციებისა და მოდელირების მეთოდის გამოყენებით სწავლება.

2.3. სასურველია განხილული იქნას სწავლების პროცესში ჰიბრიდული ფორმატის ელემენტების ეტაპობრივი ინტეგრაცია სტუდენტების ნაწილის საჭიროებების გათვალისწინებით, განსაკუთრებით რეგიონებიდან მოსწავლე სტუდენტების შემთხვევაში, რათა მათ ჰქონდეთ მეტ მოქნილობაზე დაფუძნებული სწავლების შესაძლებლობა.

2.4. სასურველია დამატებით ჩატარდეს შეხვედრები პროგრამის სტუდენტებთან, რათა მათ ჰქონდეთ სეტალური ინფორმაცია გასაჩივრების მექანიზმებთან, უკუკავშირის მიწოდების მექანიზმებთან და სხვა. გარდა ამისა, აუცილებელია შეფასების / აკადემიური მოსწრების ანალიზს ჰქონდეს კომპლექსური ფორმა; კერძოდ, ხდებოდეს არსებული მექანიზმის ხშირი გამოყენება. 3.1. შესაძლებელია კარიერული კონსულტაციების, სემინარებისა და სამენტორო პროგრამების დამატებითი განვითარება სტუდენტთა პროფესიული უნარების გაღრმავების მიზნით.

4.1. სასურველია პროგრამის აკადემიურ პერსონალს შორის იყვნენ უშუალოდ განათლების მეცნიერებების მიმართულების სპეციალისტები, რათა პროგრამის მდგრადობა გაძლიერდეს.

4.3. სასურველია, უნივერსიტეტის ყოველწლიურ ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქციის: მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სასწავლო მასალა, გამოცემის ხელშეწყობა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[5]

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

დაწესებულება ძირითადად ეთანხმება ექსპერტთა დასკვნაში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს, გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებს.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ითვალისწინებს რა უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, პროგრამის მიზანია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის სახელოვნებო მიმართულების მასწავლებლის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლი, მუსიკის მასწავლებლის) მომზადება, რომელსაც ექნება დარგის, საგნის სწავლების პრაქტიკული და მეთოდოლოგიური უნარ-ჩვევები.

გარდა ამისა, პროგრამის დეკლარირებულ მიზანში ვკითხულობთ, რომ პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს გააცნობიეროს თანამედროვე პედაგოგის მოვალეობები

და პასუხისმგებლობები, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, სწავლის, სწავლებისა და შეფასების ფორმების გათვალისწინებით.

უფრო მეტიც, პროგრამაში პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს პედაგოგიკის შესახებ დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, კურსდამთავრებულის საზოგადოებრივ თუ პოფესიულ საქმიაობაში რეალიზებას და კარიერულ წინსვლას.

პროგრამის დეკლარირებული მიზნების მისაღწევად პროგრამა სტუდენტს სთავაზობს თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსების სინთეზს; პროგრამა მოიცავს სათანადო ცოდნის მისაღებად აუცილებელ სასწავლო კურსებს:

1. პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მოდული - 28 კრედიტი (5 საგანი);
2. საგნობრივი მეთოდიკის/მეთოდიკების მოდული - 32 კრედიტი;
    a. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება - 32 კრედიტი (6 საგანი: მათ შორის, პრაქტიკა - 10 კრედიტი და არჩევითი საგანი - 2 კრედიტი)
    b. სამუსიკო ხელოვნება - 32 კრედიტი (7 საგანი: მათ შორის, პრაქტიკა - 10 კრედიტი და არჩევითი საგანი - 2 კრედიტი)

(სასწავლო კურსებთან, მათ კრედიტულ განაწილებასა და შინაარსთან დაკავშირებით იხ. 1.4. და 1.5. სტანდარტები).

პროგრამაში დეკლარირებულია, რომ პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს დასაქმდეს ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო და კერძო სკოლებში შესაბამისი საფეხურის/საფეხურების და საგნის/საგნების მასწავლებლად; ასევე ზოგადი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებში ფორმალური და არაფორმალური მიმართულებით (სახელოვნებო სტუდიები, არაფორმალური განათლების სექტორი, სწავლების, წვრთნის, ფასილიტაციის თუ საორგანიზაციო მიმართულებით).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუს შედეგების ანალიზი (პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური პერსონალი, ხარისხის განვითარების სამსახური)
- ოქმი # 4
- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში

- ბხსუ-ს მისია, მიზნები და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.1 პროგრამის მიზნები | X | ☐ | ☐ | ☐ |

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები დაჯგუფებულია იმგვარად, რომ ცალ-ცალკე გამოიყოს ცოდნასთან, უნარებთან, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობასთან დაკავშირებული კომპეტენციები.

პროგრამას აქვს 22 დეკლარირებული სწავლის შედეგი (ცოდნა და გაცნობიერება - 8 შედეგი; უნარები - 10 შედეგი; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - 4 შედეგი).

წარმოდგენილი სწავლის შედეგები ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ პირდაპირ გადმოღებულია მასწავლებლის მომზადების დარგობრივი დოკუმენტისაგან და არ ასახავს იმ კონკრეტულ უნარებს, რომელსაც პროგრამა უვითარებს სტუდენტებს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივი ჭრილიდან. ცხადია, შედეგების არსებული ვერსია, ფაქტობრივად, არ ექვემდებარება გაზომვას/შეფასებას. აქედან გამომდინარე, კრიტიკულად აუცილებელია გადაიხედოს პროგრამის დეკლარირებული სწავლის შედეგები და ფორმულირდეს იმგვარად, რომ ასახავდეს პროგრამის სპეციფიკასა და თავისებურებებს, იყოს გაზომვადი და შეფასებადი.

პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში დეტალურად და ვრცლად არის აღწერილი პროგრამის მოდიფიკაციის პროცესი.

პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში ძირითადად ჩართული იყვნენ პროგრამის ხელმძღვანელები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები. აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებს გაუჭირდათ პროგრამის სწავლის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგების დასახელება (დასახელდა მხოლოდ უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარი); სტუდენტებთან გასაუბრებისას კი აღმოჩნდა, რომ ისინი არ იცნობენ პროგრამის სწავლის შედეგებს (მათ ვერ შეძლეს, დაესახელებინათ სწავლის შედეგების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები). შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აუცილებელია უზრუნველყოფილ იყოს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში და სწავლის შედეგების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუს შედეგების ანალიზი (პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პროგრამის კურსდამკთავრებულები, სტუდენტები, ხარისხის განვითარების სამსახური)
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის სილაბუსები;
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;

**რეკომენდაციები**

- რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის დეკლარირებული სწავლის შედეგები და ფორმულირდეს იმგვარად, რომ ასახავდეს პროგრამის სპეციფიკასა და თავისებურებებს, იყოს გაზომვადი და შეფასებადი.
- რეკომენდებულია უზრუნველყოფილ იყოს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში და სწავლის შედეგების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | ☐ | X | ☐ | ☐ |

**1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი**

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება მჭიდროდ უკავშირდება მის სწავლის შედეგების შეფასებას, რომელიც პროგრამის განმახორციელებლების მიერ მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს სტუდენტთა

აკადემიური მიღწევების წარმოჩენას, აისახება პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებში და აძლევს შესაძლებლობას, დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები მისი გაუმჯობესების მიზნით. სწავლის შედეგების შეფასება მოიცავს რამდენიმე ეტაპს, მათ შორის: პროგრამის სასწავლო შედეგების განსაზღვრას, კურიკულუმის ანალიზს, შეფასების შედეგების ინტერპრეტაციასა და მონაცემების გამოყენებას, ასევე პროგრამის შემდგომი განვითარების დაგეგმვას.

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და შეფასების პროცედურებს არეგულირებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. პროგრამის შეფასება ხდება პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობის დადგენით.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მექანიზმებია:

ა) პროგრამის სწავლის შედეგების რუკის მიხედვით შეფასების სხვადასხვა მეთოდის ადეკვატურობის განსაზღვრისათვის რეკომენდაციების გაწევა;

ბ)გამოცდებისა და მიმდინარე შედეგების, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი;

გ) სტუდენტთა გამოკითხვა ;

დ) კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;

ე) დამსაქმებელთა გამოკითვა;

ვ) პროგრამის განმახორციელებელი ან/და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვები;

ზ) სასწავლო მასალების განახლება;

თ) პროგრამის, სასწავლო კურსის სილაბუსისა და შესაბამისი მასალის ექსპერტიზა. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტური განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობასა და მონიტორინგს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

ზოგადად, აღნიშნულ აქტივობებს კოორდინაციას უზრუნველყოფს ხარისხის სამსახური.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, რაც

გულისხმობს სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასებას, გამოცდების მონიტორინგს და შედეგების ანალიზს, რომლის საფუძვლზე, პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ხორციელდება პროგრამის, სასწავლო კურსებისა და შესაბამისის მასალების განახლება-მოდიფიცირება.

თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სწავლის შედეგების შეფასებისათვის გამოიყენება პირდაპირი (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, შუალედური და დასკვნითი გამოცდები, პროექტი, რეფერატი, პრეზენტაცია და სხვ) და ასევე, არაპირდაპირი (სტუდენტთა და დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვები) შეფასების მეთოდები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში მკაფიოდ არ არის ასახული სამიზნე ნიშნულები. აქედან გამომდინარე, აკრედიტაციის ესპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აუცილებელია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში მკაფიოდ იყოს ასახული სამიზნე ნიშნულები. გარდა ამისა, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ცალკე დოკუმენტად იყოს წარმოდგენილი, რომელშიც უნდა გამოჩნდეს, როგორ ხდება მათი შეფასება, მათ შორის დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის რუკები;
- ბხსუ- სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი;
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები;
- კურსდამთავრებულთა გამოკითვის შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში მკაფიოდ იყოს ასახული სამიზნე ნიშნულები;
- რეკომენდებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ცალკე დოკუმენტად იყოს წარმოდგენილი, რომელშიც უნდა გამოჩნდეს, როგორ ხდება მათი შეფასება, მათ შორის დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით;

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ევროპული ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დებულება ეხმიანება კანონმდებლობით დადგენილ წესებს და პროგრამა შესაბამისად მოიცავს 60 ECTS კრედიტს (პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მოდული - 28 კრედიტი (5 საგანი); საგნობრივი მეთოდიკის/მეთოდიკების მოდული - 32 კრედიტი (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება - 32 კრედიტი (6 საგანი: მათ შორის, პრაქტიკა - 10 კრედიტი და არჩევითი

საგანი - 2 კრედიტი) და სამუსიკო ხელოვნება - 32 კრედიტი (7 საგანი: მათ შორის, პრაქტიკა - 10 კრედიტი და არჩევითი საგანი - 2 კრედიტი).

პროგრამით გათვალისწინებული საგნები შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამა მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ საგნებს, რაც პროგრამის მიზანს ეხმიანება.

სწავლების მეორე სემეტრში სტუდენტი ვალდებულია აიღოს პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი საგანი, რომელთაც, მათი შინაარსობრივი, თეორიული ან/და პრაქტიკული ღირებულების მიუხედავად, აქვთ 2 კრედიტი.

შესაბამისად, ექპსერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდებულია გადაიხედოს არჩევითი საგნების ბლოკი, შეფასდეს მინიჭებული კრედიტების რაოდენობა და განხორციელდეს მათი მოდიფიცირება.

გარდა ამისა, წარმოდგენილი პროგრამის, სილაბუსებისა და ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე იკვეთება ერთგვარი საჭიროება: 1. აკადემიური კეთილსინდისიერება – უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხი პროგრამაში არ არის სათანადოდ წარმოდგენილი. მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ გააჩნდეთ მკაფიო წარმოდგენა პლაგიატისა და ეთიკური წერის სტანდარტების შესახებ და შეძლონ მათი ინტეგრირება როგორც საკუთარ პრაქტიკაში, ისე მოსწავლეებთან მუშაობისას; 2. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება განათლებაში – განათლების სფეროში ხელოვნური ინტელექტის მზარდი როლი მოითხოვს, რომ მომავალი მასწავლებლები იცნობდნენ ამ ტექნოლოგიის შესაძლებლობებსა და რისკებს, განსაკუთრებით სწავლების, შეფასების და რესურსების მენეჯმენტის მიმართულებით. აღნიშნული კომპეტენცია აუცილებელია მათი თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოში წარმატებული ფუნქციონირებისთვის; 3. გაკვეთილის მართვის სტრატეგიები – მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი, საგაკვეთილო პროცესის მართვის საკითხები პროგრამაში განხილულია, რეკომენდირებულია გაკვეთილის ეფექტიანი მართვის პრაქტიკული ასპექტების გაძლიერება. ეს გულისხმობს როგორც მოსწავლეთა ჩართულობის მექანიზმების, ისე დისციპლინის შენარჩუნებისა და სასწავლო პროცესის დინამიკის მართვის თანამედროვე მიდგომების ინკორპორაციას. შესაბამისად, რეკომენდირებულია, პროგრამის კურიკულუმში დაემატოს/გაძლიერდეს აკადემიური კეთილსინდისირების, ხელოვნული ინტელექტისა და გაკვეთილის მართვის საკითხები.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუს შედეგების ანალიზი (პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პროგრამის კურსდამკთავრებულები, სტუდენტები, ხარისხის განვითარების სამსახური)
- პროგრამის აღწერილობა (კურიკულუმი);
- პროგრამის სილაბუსები;
- სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია გადაიხედოს არჩევითი საგნების ბლოკი, შეფასდეს მინიჭებული კრედიტების რაოდენობა და განხორციელდეს მათი მოდიფიცირება;
- რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმში დაემატოს/გაძლიერდეს აკადემიური კეთილსინდისირების, ხელოვნული ინტელექტისა და გაკვეთილის მართვის საკითხები;

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამებში ინტეგრირებული სასწავლო კურსების სილაბუსები მოიცავს ინფორმაციას სასწავლო კურსის სტატუსის, მისი ავტორების, განმახორციელებელი პირების, სასწავლო კურსის მიზნების, კრედიტების რაოდენობისა და საათების განაწილების, დაშვების წინაპირობების, სწავლება-სწავლის მეთოდებისა და შესაბამისი აქტივობების, ცოდნის შეფასების ფორმების, კომპონენტების, მეთოდებისა და კრიტერიუმების, სწავლის შედეგების, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის შესახებ.

კურსების შედეგები შესაბამისია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებო პროგრამის მოთხოვნებთან.

უმეტესწილად, პროგრამაში შემავალ საგანთა (იგულისხმება პროგრამის ძირითადი საგნები) საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა არ არის დაცული საგნის შინაარსის გათვალისწინებით.

სწავლების პირველ სემეტრში სტუდენტი გადის სამ საგანს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მოდულიდან, ხოლომ სამ საგანს კონკრეტული საგნის სწავლების მეთოდიკის სეგმენტიდან.

წარმოდგენილი კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მოდულში ინტეგრირებულ საგნებს, გარდა ერთი საგნისა (ზოგადი განათლების სისტემა და სამართლებრივი საფუძვლები), აქვთ იდენტური კრედიტი და საათობრივი დატვირთვა. კერძოდ:

THf-შესავალი პედაგოგიურ პროფესიაში 5 - 125 - 33 – 92 - 5

THf- განვითარების ფსიქოლოგია 5 - 125 - 33 – 92 - 5

THf- აქტიური სწავლების საფუძვლები 5 - 125 - 33 – 92 - 5

THf- ინკლუზიური განათლება 5 - 125 - 33 – 92 - 5

THf-5 განვითარებისა და სწავლის თეორიები 5 - 125 - 33 – 92 - 5

საგნებს შორის არსებობს კრიტიკული განსხვავებები - სწავლა-სწავლების მეთოდების, შეფასებების ფორმებისა და სხვა კუთხით. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს აუცილებელია გადაიხედოს საგნების სპეციფიკა, შეიცვალოს მინიჭებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, რომ უფრო რელევანტურად ასახავდეს, ერთი მხრივ, საგანთა შინაარს, მეორე მხრივ, შეესაბამებოდეს მათში ინტეგრირებულ საგანთა შეფასების მეთოდებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დანართი N1 - განათლების ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო კურსების სილაბუსები.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია გადაიხედოს ფსიქოლოგიური-პედაგოგიური მოდულის საგნების სპეციფიკა, შეიცვალოს მათთვის მინიჭებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, რომ უფრო რელევანტურად ასახავდეს, ერთი მხრივ, საგანთა შინაარს, მეორე მხრივ, შეესაბამებოდეს მათში ინტეგრირებულ შეფასების მეთოდებს.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | ☐ | X | ☐ | ☐ |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | X |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სსიპ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი; მუსიკის მასწავლებელი, დაშვების წინაპირობა განხაზღვრულია კანონმდებლობით. კერძოდ, პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

სსიპ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას; გარდა ამისა, პროგრამაზე სტუდენტთა მიღება ხორციელდება სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად.

პროგრამაზე დაიშვება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი დარგის: ბაკალავრის, მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ან შესაბამისი სახელოვნებო პროფესიული განათლების ხარისხის მქონე პირი, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება/მუსიკა). მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხვისათვის, ასევე აუცილებელია უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში.

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტისს ვებგვერდზე www.batu.edu.ge განთავსებულია სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე, პროგრამაზე მიღებისა და სასპეციალიზაციო გამოცდების შესახებ დეტალური ინფორმაცია.

პროგრამის დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დარგის მოთხოვნებს, არის გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი: www.batu.edu.ge
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

- —

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- –

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | X | ☐ | ☐ | ☐ |

**2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სსიპ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი; მუსიკის მასწავლებელი შინაარსი და სპეციფიკა მოიცავს პრაქტიკული, შემოქმედებითი, საშემსრულებლო, ისევე, როგორც კვლევითი, სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების განვითარებას პრორგამის ბენეფიციარებისათვის.

უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ პრაქტიკული უნარების განვითარების საშუალება სტუდენტს ეძლევა სასკოლო პრაქტიკის დროს, რომელსაც 10 კრედიტი ენიჭება. პრაქტიკის დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს დარგობრივი, პრაქტიკულ-თეორიული უნარების გამომუშავება, რომელსაც შემდგომ კურსდამთავრებული რეალურ სასკოლო ცხოვრებაში გამოიყენებს. ასევე, პრაქტიკა განაპირობებს სკოლაში აღმზრდელობითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მიდგომებისა და ცოდნის შემუშავებას.

გარდა აღნიშნულისა, პროგრამის საგნობრივ მოდულში ჩართულია პრაქტიკული სასწავლო კურსები, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის ტრანსფერული, კრეატიული უნარების განვითარებას, შემოქმედებითი და საშემსრულებლო პროექტების განხორციელებისათვის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების გამომუშავებას.

პროგრამის განხორციელებისათვის სავალდებულოა, რომ სტუდენტი ჩართული იყოს როგორც პრაქტიკული, საშემსრულებლო, შემოქმედებითი უნარების გამომუშავებაში, ისე სამეცნიერო-კვლევით პროცესში. საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართვას სხვადასხვა შემოქმედებით კონკურსსა და ღონისძიებაში, კონფერენციებში,, გამოფენებში. აღსანიშნავია ისიც, რომ სტუდენტებისათვის ეწყობა სამეცნიერო კონფერენციები, რაც აგრეთვე უზრუნველყოფს პრაქტიკული, სამეცნიერო და საშემსრულებლო უნარების განვითარებას. უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ კვლევითი კომპონენტი გათვალისწინებულია რიგ სასწავლო კურსებში, მათ შორის შესავალ კურსში "შესავალი პედაგოგიურ პროფესიებში", "ინკლუზიური განათლება" თუმცა მნიშვნელოვანია, პრაქტიკის კომპონენტის შესრულებისას პროგრამის კურიკულომში ასახული იყოს პრაქტიკის კვლევის ასპექტები.

გარდა ამისა, პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს სფეროს კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას; შესაბამისად, პრაქტიკის ობიექტებთან, დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები /მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანს, შედეგს და ხანგრძლივობას. თუმცა, მიზანშეწონილია გაგრძელდეს და გაძლიერდეს პრაქტიკული სწავლების კომპონენტების განვითარება და გაიზარდოს პრაქტიკის ბაზების მრავალფეროვნება, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული კომპეტენციების რეალურ გარემოში გამომუშავებას და შრომის ბაზრის მზარდ მოთხოვნებზე უკეთ ადაპტაციას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი;

- უნივერსიტეტის ვებ გვერდი: www.batu.edu.ge
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდირებულია პროგრამის კურიკულუმი გაძლიერდეს მასწავლებლის პრაქტიკის კვლევის საკითხით, რათა გარანტირებული იყოს კურსდამთავრებულთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარება;

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- მიზანშეწონილია გაგრძელდეს და გაძლიერდეს პრაქტიკული სწავლების კომპონენტების განვითარება და გაიზარდოს პრაქტიკის ბაზების მრავალფეროვნება, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული კომპეტენციების რეალურ გარემოში გამომუშავებას და შრომის ბაზრის მზარდ მოთხოვნებზე უკეთ ადაპტაციას.

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სსიპ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი; მუსიკის მასწავლებელი, სწავლებისას გამოოიყენება სწავლა/სწავლების მეთოდები, როგორებიც არის: ახსნა-განმარტებითი, ევრისტიკული, გონებრივი იერიშის მეთოდი, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, დედუქციისა და ინდუქციის მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული მეთოდი და სხვ.

სწავლების მეთოდების მრავალფეროვნება განპირობებულია დარგის სპეციფიკით, ასევე, უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებით. სტუდენტებს მოეთხოოვებათ ლექციებზე დასწრება, ჯგუფურ, ინდივიდუალურ, პრაქტიკულ, ლაბორატორიულ მუშობაში მონაწილეობა, პრეზენტაციების მომზადება, დამოუკიდებელი მუშაობა და სხვ. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებმა შეძლონ სხვადასხვა საგნის ფარგლებში, განსაკუთრებით, სავალდებულო დისციპლინებში, სიმულაციური, როლური თამაშების მეთოდების სრულფასოვანი ათვისება.

გარდა ამისა, შესაძლებელია განხილული იქნას სწავლების პროცესში ჰიბრიდული ფორმატის ელემენტების ეტაპობრივი ინტეგრაცია სტუდენტების ნაწილის საჭიროებების გათვალისწინებით, განსაკუთრებით რეგიონებიდან მოსწავლე სტუდენტების შემთხვევაში, რათა მათ ჰქონდეთ მეტ მოქნილობაზე დაფუძნებული სწავლების შესაძლებლობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი: www.batu.edu.ge
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებში გაძლიერდეს როლური თამაშების, სიმულაციებისა და მოდელირების მეთოდის გამოყენებით სწავლება.

- შესაძლებელია განხილული იქნას სწავლების პროცესში ჰიბრიდული ფორმატის ელემენტების ეტაპობრივი ინტეგრაცია სტუდენტების ნაწილის საჭიროებების გათვალისწინებით, განსაკუთრებით რეგიონებიდან მოსწავლე სტუდენტების შემთხვევაში, რათა მათ ჰქონდეთ მეტ მოქნილობაზე დაფუძნებული სწავლების შესაძლებლობა.

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სტუდენტებთან შეხვედრისას გამოიკვეთა მათი საერთო დადებითი დამოკიდებულება საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ. ისინი მოტივირებულნი არიან, პროცესში აქტიურად ჩართულნი და პროგრამის ფარგლებში მიღებულ ცოდნასა და უნარებს სამომავლო პროფესიულ საქმიანობასთან აკავშირებენ. ბევრ მათგანს უკვე აქვს

დასაქმების გამოცდილება შესაბამის სფეროში, რაც მათ პროფესიულ განვითარებას ხელშესახები პრაქტიკული გამოცდილებით ამდიდრებს.

სტუდენტებმა აღნიშნეს უნივერსიტეტში არსებული დადებითი სასწავლო და სოციალურ-ემოციური გარემო, რომელიც ხელს უწყობს სწავლების პროცესში ჩართულობასა და პროფესიული მიზნების მიღწევას. აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა, სწავლების ხარისხი და ინდივიდუალური მიდგომები სტუდენტების მხრიდან დადებითად შეფასდა.

როგორც განვითარების მიმართულება, რამდენიმე სტუდენტმა აღნიშნა, რომ გარკვეული სირთულე ექმნებათ რეგულარული დასწრებით სწავლებაში იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი უნივერსიტეტში მიდიან რეგიონებიდან. შესაბამისად, სტუდენტთა ნაწილის სურვილია, საჭიროების შემთხვევაში, გარკვეული ჰიბრიდული სწავლების კომპონენტები კვლავ იქნას გამოყენებული, როგორც ეს კოვიდ-პანდემიის პერიოდში პრაქტიკულად განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი გამოცდილება ჰიბრიდული სწავლების მართვაში.

მუსიკის მასწავლებლის მომზადების სპეციფიკიდან გამომდინარე, პრაქტიკული კომპონენტი პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. არსებული პრაქტიკული სწავლების კომპონენტები სრულფასოვნად ახდენს სტუდენტების პროფესიული უნარების განვითარებას, თუმცა პროგრამის შემდგომი განვითარების პროცესში შესაძლებელია კიდევ უფრო გაფართოვდეს პრაქტიკის შესაძლებლობათა ბაზა, რაც ხელი შეუწყობს სტუდენტების სხვადასხვა საგანმანათლებლო სივრცეში პროფესიული საქმიანობისთვის უკეთ მომზადებას.

სტუდენტების ინფორმაციით აღნიშული კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები გამჭირვალეა. უმეტეს შემთხვევაში, ისინი იღებენ უკუკავშირს ზეპირი ფორმით. რაც შეეხება შეფასების გასაჩივრების პროცესს, მათ არ აქვთ ზუსტი ინფორმაცია აღნიშნულ მექანიზმთან დაკავშირებით და ვერ იხსენებენ ვერცერთ შემთხვევას, როდესაც მათ მოუწიათ შეფასების გასაჩივრება.

უსდ-ს ინფორმაციით, ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად. თუმცა, აუცილებელია შეფასების / აკადემიური მოსწრების ანალიზს ჰქონდეს კომპლექსური ფორმა; კერძოდ, ხდებოდეს არსებული მექანიზმის ხშირი გამოყენება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტაცია;
- აკრედიტაციის ვიზიტისას გამართული შეხვედრები სტუდენტებთან;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია დამატებით ჩატარდეს შეხვედრები პროგრამის სტუდენტებთან, რათა მათ ჰქონდეთ სეტალური ინფორმაცია გასაჩივრების მექანიზმებთან, უკუკავშირის მიწოდების მექანიზმებთან და სხვა. გარდა ამისა, აუცილებელია შეფასების / აკადემიური მოსწრების ანალიზს ჰქონდეს კომპლექსური ფორმა; კერძოდ, ხდებოდეს არსებული მექანიზმის ხშირი გამოყენება.

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.4 სტუდენტების შეფასება | X | ☐ | ☐ | ☐ |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| | | |
|---|---|---|
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | X |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტში სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები ფუნქციონირებს და უზრუნველყოფს სტუდენტების მხარდაჭერას სწავლების ყველა ეტაპზე.

სტუდენტებთან შეხვედრებისას გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალი მაქსიმალურად ხელმისაწვდომია და უზრუნველყოფს როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვაში, ასევე აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და პროფესიულ განვითარებაში კონსულტაციებს. სტუდენტები მარტივად მიმართავენ ლექტორებს სხვადასხვა საკითხზე და მათი უკუკავშირი უმეტესწილად პოზიტიურია.

სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია სხვადასხვა აკადემიური და ადმინისტრაციული საკითხის შესახებ, მათ შორის სასწავლო პროცესის დაგეგმვის, საგნების არჩევისა და შეფასების პროცედურების თაობაზე. ასევე, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ადმინისტრაციული სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტთა მომსახურების ხელმისაწვდომობას.

კარიერული განვითარების მიმართულებით, პროგრამაში ჩართულია პრაქტიკული კომპონენტები, რაც მნიშვნელოვან მხარდაჭერას უწევს სტუდენტებს მომავალი

დასაქმების პერსპექტივების გააზრებაში. პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტები პრაქტიკულ გამოცდილებას სწავლების პროცესშივე იღებენ.

ამასთან, სტუდენტებთან საუბრისას აღინიშნა, რომ ლექტორებისა და საგნების შეფასების ანონიმურ გამოკითხვაში მონაწილეობასთან დაკავშირებით სტუდენტებს დეტალური ინფორმაცია ნაკლებად ჰქონდათ ან პროცედურა ნაკლებად ახსოვდათ. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს სტუდენტთა ინფორმირებულობა აღნიშნული პროცესების მნიშვნელობის, ფორმატისა და მათში მონაწილეობის აქტიურობის თაობაზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტაცია;
- აკრედიტაციის ვიზიტისას გამართული შეხვედრები სტუდენტებთან;
- სტუდენტების დადებითი უკუკავშირი აკადემიური პროცესების, პერსონალის ხელმისაწვდომობისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს სტუდენტების ინფორმირებულობა ლექტორებისა და საგნების შეფასების პროცესში მათი მონაწილეობის მნიშვნელობის, ფორმატისა და შედეგების გამოყენების შესახებ.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია კარიერული კონსულტაციების, სემინარებისა და სამენტორო პროგრამების დამატებითი განვითარება სტუდენტთა პროფესიული უნარების გაღრმავების მიზნით.

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | ☐ | X | ☐ | ☐ |

### 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 3.2 მაგისტრანტთა და | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

| |
|---|
| დოქტორანტთა<br>ხელმძღვანელობა |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|---|---|---|
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | X |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ბხსუ-ში საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდება აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, ასისტენტი) და მოწვეული პერსონალის (I და II კატეგორიის სპეციალისტი) მიერ.

უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე პერსონალის არჩევა ხდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და ,,ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის“ შესაბამისად რექტორის მიერ დამტკიცებული კომისიის მიერ.

აკადემიური პერსონალის არჩევისა და პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას ამტკიცებს აკადემიური საბჭო. პედაგოგიური დატვირთვა ბხსუ-სთან აფილირებულ აკადემიურ თანამდებობის პირს განესაზღვრება შემდეგი ოდენობით: პროფესორს - 200 საათი; ასოცირებულ პროფესორს - 250 საათი; ასისტენტ-პროფესორს - 320 საათი; ასისტენტს - 350 საათი.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულია 5 პროფესორი, 1 ემერიტუსი, 2 მოწვეული პროფესორი, 10 პირველი კატეგორიისა და 1 მეორე კატეგორიის მოწვეული სპეციალისტი.

პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის აუცილებელ ცოდნას, რაც დასტურდება მათი აკადემიური ხარისხისა და სასწავლო კურსის შესაბამისობით.

| **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)** | **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა** | **მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]** | **მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]** | **მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი** |
|---|---|---|---|---|
| სულ აკადემიური პერსონალი | | | | |
| - პროფესორი | 3 | 3 | 3 | 3 |

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| - ასოცირებული პროფესორი | 1 | 1 | – | 1 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 1 | 1 | – | 1 |
| - ასისტენტი | 0 | 0 | 0 | 0 |
| მოწვეული პერსონალი | 14 | 14 | 3 | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | 0 | 0 | _ |

თუმცა, სასურველია o სასურველია პროგრამის აკადემიურ პერსონალს შორის იყვნენ უშუალოდ განათლების მეცნიერებების მიმართულების სპეციალისტები, რათა პროგრამის მდგრადობა გაძლიერდეს.

პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება მისი კომპეტენცია დასტურდება სფეროს შესაბამისი განათლებით და პრაქტიკული გამოცდილებით. გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელები მონაწილეობენ პროგრამის შეფასება-განვითარებაში, პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებშ.

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიური/ სამეცნიერო / მოწვეული პერსონალის დენადობის ინტენსიურობის მაჩვენებელი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუს შედეგების ანალიზი;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების CV, პირადი საქმე;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები.

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია პროგრამის აკადემიურ პერსონალს შორის იყვნენ უშუალოდ განათლების მეცნიერებების მიმართულების სპეციალისტები, რათა პროგრამის მდგრადობა გაძლიერდეს.

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.1 ადამიანური რესურსი | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- **კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით**

**რეკომენდაციები:**

- **წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- **არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

### 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამას ახორციელებს 5 აფილირებული აკადემიური პერსონალი და 14 მოწვეული პედაგოგი.

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების თანახმად, პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) და მოწვეული პერსონალის სასწავლო (პედაგოგიური) და სამეცნიერო საქმიანობის შეფასება ხდება ხარისხის მართვის პოლიტიკის შესაბამისად. უნივერსიტეტი რეგულარულად ახდენს პროგრამის განმახორცილებელი პერსონალის თვითშეფასებას, ასევე, პროგრამის განმახორციელებელთა კმაყოფილების კვლევას, რაც სხვა მიზნებთან ერთად უნდა ემსახურებოდეს პერსონალის პროფესიული განვითარებასა და წახალისებას.

პერსონალის პირადი საქმეების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ პერსონალის ნაწილს (მათ შორის, პროფესორებს, ასოცირებულ პროფესორებს) არ აქვთ ბოლო 3-5 წლის განმავლობაში (დარგთან დაკავშირებული) გამოქვეყნებული ნაშრომები, არ მიუღიათ მონაწილეობა ადგილობრივ ან/და საერთაშორისო კონფერენციებში. შესაბამისად,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აუცილებელია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პერსონალის მხარდაჭერა მათი პროდუქტიულობის (ნაშრომების გამოქვეყნება, კონფერენციებსა და ტრენინგებში მონაწილეობა). ამასთან, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი ხელს უნდა უწყობდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო განვითარებას, მათ შორის მიზნობრივი სამეცნიერო პროექტების დაფინანსებას, მნიშვნელოვან ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელების შექმნის ხელშეწყობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი: www.batu.edu.ge
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია უსდ უზრუნველყოდეს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის ზრდას, მათ შორის მიზნობრივი სამეცნიერო პროექტების დაფინანსებას, მნიშვნელოვან ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელების შექმნის ხელშეწყობას.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დადებითად ფასდება. აუდიტორიები, სასწავლო სივრცე, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული აუდიტორიები და ა.შ. აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს. უსდ-ში არის სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სათანადოდ აღჭურვილი აუდიტორიები. უსდ-ს ასევე აქვს მუსიკისა და ხელოვნების სწავლებისთვის საჭირო სივრცეები, რაც სტუდენტებს მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

ბიბლიოთეკის დათვალიერების შედეგად გამოირკვა, რომ სასწავლო რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია მათი ელექტრონულად მოძებნა. ბიბლიოთეკაში დაცულია პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსებით. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამის საბიბლიოთეკო, მატერიალური, საინფორმაციო და ციფრული რესურსების განახლებაზე.

უნივერსიტეტის სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია ისეთი სამეცნიერო ბაზები, როგორიცაა: Sciencedirect, scopus, HeinOnline და სხვ. მრავალი. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

ასევე, უსდ-ის აქვს ელექტრონული პლატფორმა, რომლის საშუალებითაც ადმინისტრაციული, აკადემიური, მოწვეული პერსონალი და სტუდენტები ყოველდღიურ კომუნიკაციას, მათ შორის სასწავლო მასალების გამოყენებასა და შეფასების გაცნობას ახერხებენ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერება
- ინტერვიუირების შედეგები

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.4 მატერიალური რესურსი | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ვინაიდან მასწავლების მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა სახელმწიფოს მიერაა დაფინანსებული, ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმოადგინა უსდ-ის სრული ბიუჯეტი. მასში წარმოდგენილია როგორც შემოსავლები და ხარჯები, ისე არაფინანსური აქტივების ზრდის კატეგორიები. ხარჯების ნაწილში აღნიშნულია შრომის ანაზღაურების, მივლინების, წარმომადგენლობითი, საკანცელარიო ნივთების, კომპიუტერული ტექნიკისა და მისი განახლების, სამეცნიერო ჟურნალების გამოწერის, საოფისე ინვენტარის, კავშირგაბმულობის და საარქივო ხარჯები. როგორც თვითშეფასების დოკუმენტშია აღნიშნული და ჩატარებული ინტერვიუებით დადგინდა, განმახორციელებელი პერსონალის ანაზღაურება დგება უსდ სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესებისა და რექტორის სამართლებრივი აქტის შესაბამისად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

–

**რეკომენდაციები:**

–

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- უსდ 2025 წლის ბიუჯეტი
- ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | X | ☐ | ☐ | ☐ |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| | | |
|---|---|---|
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | X |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც უნივერსიტეტის სტრატეგიული მენეჯმენტის ნაწილადაა წარმოდგენილი და უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული ამოცანების მიღწევისთვის გამოიყენება. გარდა ამისა, წარმოდგენილი მექანიზმები უმეტეს შემთხვევაში სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევებისა და შეფასების პრაქტიკას ეყრდნობა. კერძოდ, ის საკმაოდ ინკლუზიური და კომპლექსური პროცესია და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ისეთ ინსტრუმენტებს მოიცავს, როგორც: პროგრამის შიდა თვითშეფასებას, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვას, სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა და სამიზნე ნიშნულების ანალიზს, დამსაქმებლების კვლევას, გარდა ამისა აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის თვითშეფასებასა და შეფასებას.

შესწავლილი დოკუმენტებიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ მასწავლებლის მომზადების 60კრედიტიანი პროგრამის მომზადებისა და დამტკიცების პროცესი ემთხვევა შიდა საუნივერსიტეტო წესით განსაზღვრულ პროცედურას. მათ შორის აღსანიშნავია, რომ პროგრამა გადაეგზავნა საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელმაც პროგრამას გარკვეული რეკომენდაციები მისცა. მოცემული კომენტარების გამოსწორების შემდეგ, პროგრამა დამტკიცდა შიდასაუნივერსიტეტო პროცედურების შესაბამისად.

როგორც დოკუმენტების შესწავლამ, ისე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობდა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ერთი მხრივ, პროგრამის ხარისხის შეფასების საკითხი, ხოლო, მეორე მხრივ, თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის პროცესში გამოვლენილ გამოწვევებზე მსჯელობა. დოკუმენტებისა და ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ თვითშეფასების ჯგუფის წევრები ერთმანეთს გარკვეული პერიოდულობით ხვდებოდნენ. გარდა ამისა, მასში ჩართულნი იყვნენ არა მხოლოდ ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, ასევე დამსაქმებლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. მიუხედავად ამისა, უშუალოდ ვიზიტის დროს გამოჩნდა, რომ თვითშეფასების ჯგუფის წევრების მხოლოდ ნაწილი იცნობდა იმ ნაკლოვანებებს, რაც თავად საბოლოოდ თვითშეფასების ანგარიშშია დასახელებული.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ინტერვიუების დროს აღნიშნავდა, რომ მათ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რამდენიმე მიმართულებით ეხმარებოდა. ესენია: პროგრამის და სასწავლო კურსის მიზნისა და მკაფიო სწავლის შედეგების ფორმულირება, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის ჩამოყალიბება, აკადემიური მოსწრების ანალიზზე დაყრდნობით, შეფასების კომპონენტების გაუმჯობესება.

ზემოთჩამოთვლილი მაგალითები და პრაქტიკა მიუთითებს, რომ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ნამდვილად ეფუძნება პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე".

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- უსდ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი დანართები
- უსდ მიერ ჩატარებული გამოკითხვის ფორმები და შედეგები
- პირისპირი ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია თვითშეფასების ჯგუფის ყველა წევრი თანაბრად კარგად იცნობდეს თვითშეფასების ანგარიშში დასახელებულ გასაუმჯობესებელ მხარეებსა და მათი გამოსწორების გეგმას.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასების პროცესი ხორციელდება ორი ძირითადი გზით. პირველი ეხება სახელმწიფოს მიერ გარე შეფასებას, რასაც საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს, ხოლო მეორე ეხება თავად უსდ-ის მიერ ორგანიზებულ გარე შეფასებას, რაც მოიცავს კოლეგიალურ შეფასებას და დამსაქმებლების მიერ პროგრამის გარე შეფასებას.

როგორც დოკუმენტების შესწავლამ, ისე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ უსდ-მ 2022 წელს სსიპ - საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პროგრამის განვითარების სამწლიანი ანგარიში წარადგინა. გარდა ამისა, პროგრამის გარე შეფასების პროცესი, კერძოდ კი - გარე კოლეგიალური შეფასება განახორციელა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, ზუსტ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი მამულაძემ. მის შეფასებაში ზოგადად აღნიშნულია, რომ საჭიროა ზოგიერთ სილაბუსში ლიტერატურის განახლება, შეფასების რუბრიკების დაზუსტება და შინაარსობრივი გადაფარვების თავიდან აცილება.

თავის მხრივ, აღსანიშნავია, რომ უსდ-მ წარმოადგინა პროგრამის შიდა და გარე ხარისხის შეფასების დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია ის ცვლილებები, რაც აღნიშნული შეფასებების შედეგად განხორციელდა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- გარე კოლეგიალური შეფასება
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში

- პირისპირი ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

–

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

–

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 5.2 გარე ხარისხის შეფასება | X | ☐ | ☐ | ☐ |

### 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და შეფასება ხდება განსაზღვრული წესითა და პერიოდულობით. ამასთან, განსაზღვრულია, რომ მისი შედეგები უნდა გამოიყენებოდეს პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით ირკვევა, რომ აღნიშნული პროცესი უმეტესწილად მუშაობს. კერძოდ, მასში ჩართულნი არიან აკადემიური,

მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული შეფასების მიზნით ხორციელდება სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების შემოწმება. მიუხედავად ამისა, ამ თვალსაზრისით, არსებობს რამდენიმე გამოწვევა:

- აკადემიურ პერსონალთან, ისე სტუდენტებთან ჩატარებულმა ვიზიტმა ცხადყო, რომ პროგრამაზე სტუდენტთა სიმცირიდან გამომდინარე, ხშირად მათგან უკუკავშირის მიღებას მეტწილად არაფორმალური სახე აქვს. მეტიც, ზოგიერთი აკადემიური პერსონალის თქმით, მათ არასდროს მიუღიათ ფორმალური გზით უკუკავშირი სტუდენტების გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება სტუდენტები/კურსდამთავრებულები ყველა სასწავლო კურსს, მათ მიზანს შინაარს, მეთოდს, შეფასების სისტემას და ა.შ. დადებითად აფასებენ, მოცემული პროცესი უსდ-ის ყველა პროგრამაზე თანაბრად უნდა ვრცელდებოდეს;
- ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამას გარკვეული წინაპირობები გააჩნია და ის ახალ დარგობრივ მახასიათებელს ერგება, მნიშვნელოვანია, რომ პერიოდულად შემოწმდეს/დადარდეს ის ადგილობრივ და უცხოურ პრაქტიკას;
- ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა ნაწილში (მათ შორის სწავლის შედეგების რაოდენობის, მათი გაზომვის რეალისტურობის, ჩარიცხულ სტუდენტთა არამყარი რაოდენობის და ა.შ.) გარკვეული გასაუმჯობესებელი მხარეები გამოიკვეთა, უსდ-მ უშუალოდ ამ საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანობის მიზნით, უნდა შეიმუშავოს მონიტორინგისა კომპლექსური კრიტერიუმები და სამიზნე მაჩვენებლები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- პირისპირ ინტერვიუს შედეგები
- უსდ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- უსდ მიერ ჩატარებული გამოკითხვის ფორმები და შედეგები

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია უსდ-მ რეგულარულად და მტკიცებულებებზე დამყარებული გზით, აწარმოოს საგანმანათლებლო პროგრამის შედარება ანალოგიურ პროგრამებთან.

- რეკომენდებულია უსდ-მ უზრუნველყოს, რომ ყველა სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტები ფორმალურად აფასებენ მას და რელევანტური ინფორმაცია საბოლოოდ სასწავლო კურსის განმახორციელებელ პირებისთვის ხდება ცნობილი.

- რეკომენდებულია უსდ-მ საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანობის შეფასების გზით, შეიმუშავოს მისი მონიტორინგის ნათელი მკაფიო და კომპლექსური მაჩვენებლები.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | ☐ | X | ☐ | ☐ |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| | | |
|---|---|---|
| **5.** სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | X |

| | | |
|---|---|---|
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

**თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:**

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:**

**პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა**

| **შეფასება** / **სტანდარტები** | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** | ☐ | X | ☐ | ☐ |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ☐ | X | ☐ | ☐ |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| **5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** | ☐ | X | ☐ | ☐ |

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

რევაზ ტაბატაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ნინო პოპიაშვილი

სანდრო ტაბატაძე 

თეონა დადუნაშვილი